



ქართული  
ბიზნისი

## ასოციაციები

ბიზნისი  
გოგოლაშვილი

ვარდისფერი  
პარადოქსები

+20. 198



# გიორგი გომელაშვილი

## ასოციაციები



## ვარდისფერი პარადოქსები

თბილისი  
2009

## წინასიტყვა

ათიოდე წლის წინათ ვწერდი:

**„I ათასწლეულის მინურული:**

გიორგი მერჩულე: „ქართლად ფრიადი ქუეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაა ყოველი აღესრულების“

**II ათასწლეულის მინურული:**

საქართველოს ყოველ კუთხეში ქართულითა ენითა ჟამი აღარ შეინირვის და ლოცვაა აღარ აღესრულების...

**რა გველის III ათასწლეულში?“**

„ვარდების რევოლუციამ“ III ათასწლეულის მძიმე პერსპექტივა გამოაჩინა, მუქი კონტურები მოიხაზა... ავს თუ ავი არ ვუნოდეთ, IV ათასწლეულში ამგვარი კითხვის დასმაც აღარ იქნება საჭირო...

28. 03. 2009.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირი

# ასოციაციები

K63.855<sup>2</sup>



საბჭოთა კავშირის  
ნაციონალური ბიბლიოთეკა

\*\*\*

- მაინც არაფერი გამოვა... რა აქვს ბრძოლას?... ვის ესმის შენი ყვირილი?.. - ეს სკეპტიკოსის აზრია. მე კი ქაბუა ამირეჯიბს მოვიშველიებ ხოლმე ამ დროს. გახსოვთ ალბათ:

შირერი და ნანო თავყელიშვილი რა-ეა სარჩიმელიამ დაატყვევა, გაძარცვა და მრავალ სხვა გაძარცვეულს მიუსხა გვერდით. გოგი ნულაძემ ნააქეზა ნანო თავყელიშვილი, აიყოლიე ქალები და იყვირეთო. ნანომ მოისურვა ქალების დაყოლიება, მაგრამ უარი მიიღო. ვინ რა თქვა, ვინ - რა: იმდენი არაფერი დამიკარგავს, სიკვდილის რისკად რომ ღირდესო. მაშინ დაიწყო ყვირილი ნანომ... ყაჩაღის თოფის კონდახი მოხვდა თავში; შირერმა გაიცინა, ალბათ სხვაშაც... მაგრამ გაიგონა ყვირილის ხმა დათა თუთაშხიამ, მოვიდა და იხსნა დატყვევებულები ყაჩაღებისაგან...

მორალი: სიმართლისათვის ყვირილს ყოველთვის აქვს აზრი: რა ვიცით, იქნებ ახლომახლო იმყოფება თუთაშხია!...

\*\*\*

ბეკინა სამანიშვილი თავის შვილს, პლატონს, ესაუბრება: „ღმერთმა იცის და ყველა ცხედავს, რომ არა გიჭირთ-რა: მინაც საკმაოდ გაქვთ, თუ სხვაზე მეტი არა, ნყალიც, სახლიც, კარიც... ტყუც და ველიც!.. სამნუხარო რა გაქვთ?!“ ამას ეუბნება მამა შვილს, „გვარიანი ღარიბი“ ბეკინა პლატონს. არადა, თუ ვინმემ იცის, რომ სამანიშვილებს არაფერი მსგავსი არ გააჩნიათ, იცის ბეკინამ და მაინც ნარბშეუხრელად ტყუის... რა თქმა უნდა, სხვაზე უკეთ პლატონმა იცის თავისი უსახსრობის ამბავი, მაგრამ მაინც მშვიდად ისმენს... ბეკინამ ისიც იცის, რომ პლატონმა იცის ყოველივე და მაინც ტყუის...

ეს ამბავი გამახსენდა, როცა პრეზიდენტის ნინასაარჩევნო გამოსვლებს ვუსმენდი... ცხადია, იცის, რომ ვიცით, რა არის სიმართლე, მაგრამ მაინც სურს, პლატონით მშვიდად ვისმინოთ, ტაშიც დავუკრათ და მადლობაც ვუთხრათ ბედნიერი ცხოვრებისათვის... თუმცა ახერხებენ ამასაც ზოგზოგები...

\*\*\*

ამ ბოლო დროს ლადო ასათიანის სტრიქონები ამეკვიატა:

„ჰეი, თქვენ, არაგველებო,  
გაუმაძღარნო ომითა,  
თქვენს საფლაგებთან მოხელა და  
მუხლის მოდრეკა მომინდა!“ –

და იცით რატომ? – ძალიან მომრავლდნენ გველები, იქნებ გვიშველონ არაგველებმა!

\*\*\*

„ვაი ჩვენი ბრალი! პურის ცხობის უცოდინრობაც კი შეგვწამეს და ხაბაზიც ამას იქით მოსკოვიდან უნდა დაეიბაროთ ხოლმე. ქვეყნის გაბიაბრუება და დაბრიყვება იქნება და ასეთი?“

ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები გამახსენდა, როცა პროფტექნიკუმების გახსნა დაიწყეს და „სვარკის“ მასწავლებლები ამერიკიდან ჩამოიყვანეს...



\*\*\*



ქართული ენის  
სამეცნიერო ცენტრი

სამეცნიერო ცენტრი

რამდენიმე პარლამენტარს ეროვნულ-განმათავსებელი  
გამოცდების ზოგადი უნარ-ჩვევების ტეს-  
ტზე პასუხების გაცემა სთხოვეს. ითქვა,  
VI-VII კლასელი ბავშვები უკეთ პასუხო-  
ბენო... მათ მიერ შევსებული ხელნაწერი  
დოკუმენტები აჩვენეს ტელევიზიით: ძ-ს  
მაგიერად ხ-ს წერდნენ, შ-ს მაგიერად -  
წ-ს...

პარლამენტარებსა და მთავრობის წევ-  
რებს ჰკითხეს, ბოლოს რა სპექტაკლი ნა-  
ხეთო და ვერ გაიხსენეს...

სახელმწიფო კანცელარიის უფროსი  
მონდომებით ამტკიცებდა, ამ შენობაში  
გაზეთებს არავინ კითხულობსო...

ერთი პოპულარული ტელენამყვანი  
ხშირ-ხშირად იმეორებდა, რომ მას უმაღ-  
ლესი განათლება არა აქვს...

წერა-კითხვასთან ასე დემონსტრაციუ-  
ლად დაპირისპირებულ ხალხზე რომ ვფიქ-  
რობ, ილია ჭავჭავაძის ერთი პერსონაჟის  
ნათქვამი მახსენდება: „მე თუ წიგნი არ  
ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არ მხურავს,  
განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი!“

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქვეყნოდ ცნობილი პროფესორი კონკურსში გააშავეს და უსახელო ახალგაზრდას გაამარჯვებინეს – ოთხი თვე ამერიკაში სწავლობდაო... ენისა და კულტურის უნივერსიტეტში სოციოლოგიის სრულ პროფესორად მეტყვევებ-ინჟინერი (ლ. თარხნიშვილი) აირჩიეს, პრალაში რამდენიმეთვიანი კურსები გაიარა სოციოლოგიაშიო... და სხვა... და სხვა... „გამარჯვებულებმა“ დიდად შეიფერეს პროფესორობა...

გ. ერისთავის „გაყრის“ პერსონაჟის, ივანეს, უცნაურობებით შემფოთებული ანდუყაფარი იტყვის: „არ ვიცი, რა ემართებათ ამ რუსეთში, ინამლეებიან, თუ რა არის. ბიჭო, საკურველია, მოზდოკს მეც ვიყავ, მაგრამ კი არ გავგიჟებულვარ!“

(ისე, ბოდის ვუხდი პატიოსან დიდებულებებს ამ შედარებისათვის...)

\*\*\*

იონა ვაკელის აპრაკუნე ჭიმჭიმელი  
გახსოვთ? – „შემაფურთხე რა, ვერ მო-  
ვინმინდავ თუო“... ეს გამახსენდა, როცა  
ერთი მინისტრი მონდომებით ინმენდდა  
სახეს და აგრძელებდა საუბარს... ეს პირ-  
დაპირი მნიშვნელობით... არადა, 5 იანვრის  
არჩევნების შემდეგ რამდენი პოლიტიკოსი  
აღმოჩნდა აპრაკუნე ჭიმჭიმელის როლში  
სატელევიზიო დებატებში!..

\*\*\*

მეგობარი ქალბატონი და მე ხშირად ეუზიარებდით ერთმანეთს რევოლუციის შთაბეჭდილებებს. ამას წინათ შემხვდა და მითხრა, მაინც მიყვარსო მიშა... იმას თუ უყვარხარ-მეთქი...

და „კოლხეთის ცისკარი“ გაეახსენე: მე-ქი ვაშაკიძეს სიგიჟემდე უყვარდა თალიკო; თალიკოს არ უყვარდა მექი; პირიქით: დასცინოდა, აბურჩად იგდებდა, ამცირებდა, ბოროტად იყენებდა ამ „სიყვარულს“...

ჰოდა, ვერ შექმნა ოჯახი ამ სიყვარულ-მა; ვერ ქმნის ოჯახს ასეთი სიყვარული!..

\*\*\*

როცა დღევანდელ პრობლემებზე დაე-  
ფიქრდები, ქვეყნის მომავალზე დაეინყებ  
ფიქრს, ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი  
მახსენდება:

„მე ამას ვტირი განანირი,  
ვაპ თუ ვესწრა ვერ,  
თვარალა ჟამი გულთმაამი  
კვლავცა იქნების!“

რამდენი თაობა წავიდა ამ იმედით... მე  
მგონი ჩვენი სათქმელიც ეს არის დღეს...

გულთმაამი ჟამი ჩვენს შვილებს თუ  
ელისებათ მაინც?...



\*\*\*

2006 წლის 8 იანვარს ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს გ. ხუბუა. ამ ამბავმა გამახსენა:

როცა თ. ლლონტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს (1926 წელს), მიხეილ ჯავახიშვილს უბის ნიგნაკში ჩაუნერია: „1921 წელს თედო ლლონტი სტუდენტად არ მიიღეს, რადგან სწავლის სტაჟი არ ჰქონდა (სამოქ. სკოლა). დღეს კი, 22/VI რექტორად აირჩიეს“.

მეორე „სახელოვანი“ რექტორის შესახებ ჩაუნერია: „ტიპი – კარლო ორაგველიძე – ულტრა იეზუიტი, ყველას ბადეს უქსოვს და ღუპავს. ეს არის მისი ერთადერთი ხელობა და სიცოცხლე. ჯერ მისი ღიმილი არავის უნახავს. ადამიანი ტირის და იცინის. პირუტყვიც ტირის, მაგრამ არ იცინის“.

დღეს მიხეილ ჯავახიშვილი რომ ცოცხალი ყოფილიყო, იტყოდა: „გასამდა“.



\*\*\*

1992 წელს ე. შევარდნაძე თბილისში მოხდა რომ დაბრუნდა, თქვა: იმაზე უარესად ყოფილა საქმე, ვიდრე მეგონა, ორი-სამი წელი მაინც დასჭირდება მდგომარეობის გამოსწორებასო...

2004 წელს მ. სააკაშვილმა თქვა: უმძიმესი შემკვიდრეობა მივიღე და ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში ქვეყანა ფეხზე უნდა დავაყენოო... გაიარა ერთმა ვადამ პრეზიდენტობისა... ქვეყნის სილატაკიდან გამოყვანა პრეზიდენტობის მეორე ვადისთვის გადაიდო... ჩვენც მოთმინებით ვეღოთ დაპირებულ სიკეთეს...

აკაკი წერეთლის ერთი ჩანაწერი გამახსენდა:

„ერთ კაცს ეგონა, მზე თავისი სოფლის გორაკიდან ამოდიოდა და ნავიდა მის დასაჭერად. მაგრამ დაინახა, რომ მზე მეორე გორიდან ამოდიოდა. გადავიდა, მაგრამ მზემ მესამე გორიდან ამოჰყო თავი; იქაც აბობლდა და კიდევ შეცდა...“ ასეა ვითომ ჩვენი საქმეც? „დავიჭერთ მზეს“ ოდესმე?..



\*\*\*

საუკუნის წინათ წერდა იაკობი: „რომელ ქვეყანაშიაც კი უმრავლებიათ სკოლები, ყველგან მათ მოუხდენიათ საოცარი ძირითადი ცვლილება: ერი გამდიდრებულა ცოდნით, ამაღლებულა ზნეობით, ავსილა დოვლათით“...

დღეს ჩვენში: ამცირებენ სკოლებს, ე.ი.: ერი ღარიბდება ცოდნით, მდაბლდება ზნეობით, იცლება დოვლათისაგან...



\*\*\*

დავით გურამიშვილმა ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა მკაცრად შეაფასებინა მის-სავე შვილს:

„ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე  
მინანუდომარე,  
რაზედაც მიდგა, არ დარჩა ის საქმე  
ნაუხდომარე“...

მე ვახტანგ VI-ის გაკეთებული საქმეც  
გამიგია და არაერთი... კ. ლომიაზე კი  
ზედგამოჭრილია ეს შეფასება:

მინისტრი იყო და დაანგრია განათლე-  
ბისა და მეცნიერების სისტემა...

უშიშროების საბჭოს მდივანი იყო და...  
რა დღეშიც ჩავარდა ქვეყნის უშიშროება,  
ვიციტ... ის კი არადა, უშიშროების საბ-  
ჭოს სხდომაზე ორი რიცხვი დაასახელა:  
ამდენი ტანკი გავნადგურეთ და ამდენი  
თვითმფრინავიო და... ორივე რიცხვი გა-  
უსწორა პრეზიდენტმა – არ ამბობ მარ-  
თალს, ბევრად მეტიო...

ახლა გაეროში „დაალაგებს“ საქმეებს...



\*\*\*

აკაკი წერეთელი ერთ თავის თანამედროვეზე ამბობს: „ჭინჭრაქა (ღობე-მძვრალა) მომაგონდა, რომელიც როგორც ხალხშია ნათქვამი, ქუხილს რომ გაიგონებს, გადატრიალდება, ფეხებს ცას შეუშვერს და მზათ არის, რომ ცა, თუ ვინიცობაა, ჩამოვარდა, ფეხებით შეაჩეროს და დედამინა გადაარჩინოს“.

ამას ნინათ „ოპოზიციონერ“ ცაგარეიშვილს ვუსმენდი (ჯანმარტაუდა, რატომ ვარ პარლამენტშიო...) და ჭინჭრაქას ამბავი გამახსენდა (ისე, მის ადგილზე რამდენიმე მისი კოლეგაც შეიძლება ვიგულისხმოს, ეთქვათ მეორე გია და სხვა)...

შეაჩერებს ვითომ ჩამოსაქცევად გამზადებულ ცას ჭინჭრაქა?

\*\*\*

6 სექტემბერს (2008) „რუსთავი-2“-ზე ფილმი აჩვენეს, 1939 წელს კრაკოვის უნივერსიტეტში როგორ შეიჭრენ ფაშისტები და როგორ გააძევეს უნივერსიტეტიდან პროფესურა...

საინტერესოა, ლომაიამ, მერაბიშვილმა და ხუბუამ თუ ნახეს ეს ფილმი? და თუ ნახეს, გაახსენდათ 2006 წლის ივნის-ივლისი?

\*\*\*

კ. გამსახურდია: „ეს სასახლეები, ციხეები სულ მშიერი მონების აშენებულია. ხალხი თუ გაძლა, აღარც ციხეს აგიშენებს და აღარც სასახლეს... სადოლე ცხენი თუ გააძლე“... და ა. შ...

მე მგონი, შადრევნებისა და სპორტული მოედნების მშენებლობაც ამ პრინციპით ხდება...

\*\*\*

2006 წლის ზაფხულში ერთ-ერთ მიტინგზე გამოსვლისას ხალხი ტაშით შემეგება. მაშინ გავიხსენე:

60-იანი წლების ბოლოს მწერალთა კავშირის სასახლეში კ. გამსახურდია კითხულობდა მოხსენებას. ასე დაიწყო:

– მე დიდად მადლობელი ვარ ჩვენი პარტიისა და ჩვენი მთავრობის...

გამიზნული პაუზა... აცალა ხალხს გაოცება და განაგრძო:

– დიახ, ბატონებო, ნინაალმდეგობა აყალიბებს ადამიანს!..

ამ ლოგიკით, მე ლომიას მადლობელი უნდა ვიყო: ჩემი მდგომარეობისათვის ზედმეტად პოპულარული ადამიანი გამხადა...



\*\*\*

ირაკლი ბათიაშვილი დაიჭირეს. ბრალდება: ინტელექტუალური დახმარება შეამბოხე კვიციანისადმი... მტკიცება: სატელეფონო საუბარში უთხრა ემზარ კვიციანს, გამაგრდიო... ი. ბათიაშვილის სასამართლოზე მონშედ დამკითხეს (10. 05. 2007). მაშინ გავიხსენე: როდესაც იაკობ ხუცესმა გაიგო, ვარსქენმა სარწმუნოება გამოიცვალაო, სიმტკიცისაკენ მოუნოდა დედოფალს... საძაგელ ვარსქენს ამისთვის იაკობი არ დაუსჯია...

\*\*\*

ფრაგმენტი ანა კალანდაძის მინიატურ-რიდან: შიამბესო, „როდესაც ეს ეკლესია (მარტყოფში, მამლუქ შინჯიაშვილის საფასით აგებული – გ.გ.) კინოდარბაზად გადააკეთეს, მოხსნეს გუმბათი და ჯვარი. ერთხელ კედლიდან ქვა გადმოვარდა და ორი ბავშვი დაიტანა. ერთი იმისი შვილი იყო, ვინც გუმბათი მოხსნა, მეორე კი იმისი, ვინც ჯვარი ჩამოიღო“...

დღეს გამოაცხადეს ტელევიზიით, რომ ხელვაჩაურის გამგეობის შენობა ჩამოინგრა და ექვსი კაცი დაიტანაო (ღვთის მადლით, გადარჩნენ...). სწორედ ხელვაჩაურის გამგეობის გადაწყვეტილებით დაანგრეს ერთი კვირის წინათ ფერიის მთაზე მშენებარე ეკლესია...





\*\*\*

ვახტანგ გოგოლაშვილმა თავისი სტუ-  
დენტობისდროინდელი ამბავი მიაშპო:  
შალვა ნუცუბიძის ლექციაზე მივიჩქარო-  
დით. დავინახეთ, უნივერსიტეტის პირდა-  
პირ, ქუჩაზე ბატონი შალვა გადმოდიოდა  
გაჩქარებული ნაბიჯით... უეცრად მკვეთ-  
რად დაუმუხრუჭა მანქანამ. ბატონი შალვა  
სწრაფად შემობრუნდა, ხელში ჯოხი შე-  
მართა და ყვირილი და ლანძღვა დაუნყო  
თავხედ მძღოლს...

ლექციაზე ბარათი მივწერეთ, არ გვე-  
გონა, ასეთ დიდ ფილოსოფოსს თუ ასე გე-  
შინოდათ სიკვდილისო... ბატონმა შალვამ  
ჩაიკითხა ბარათი, მიხვდა, რა თქმა უნდა,  
ჩაიღიმა და თავისებური მოხდენილი შე-  
დახილთ მოგვმართა: „თქვენი შეშინოდა,  
თქვენი!“...

2006 წელს თსუ-ში კონკურსში „გამარ-  
ჯეებულმა“ უნივერსიტეტელებმა რამდენ-  
ჯერმე მაგრძნობინეს, თუ არ აპირებდი  
კონკურსში მონაწილეობას, რაღატომ იბ-  
რძოდით... მაშინ გავიხსენე შ. ნუცუბიძე:  
თქვენთვის ვიბრძოდი, თქვენთვის-შეთქი...

\*\*\*

ამ ზაფხულს ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმა“ ნაწიკითხე. გახსოვთ, ალბათ: ღორების მეთაურობით ცხოველები აჯანყდნენ და გააძევეს ფერმიდან ადამიანები – თავისუფალი ქვეყანა უნდა ავაშენოთო... და ნანატრი თავისუფლების ნაცვლად მყარდება ღორების დიქტატურა; ჩნდება ღორების მმართველი კლასი...

თუ მიხვდით, რამ გამახსენა?..

- დღეს 2006 წლის 23 ნოემბერია...  
ღმერთმა მრავალ გიორგობას დაგასწროთ!...



\*\*\*

ანა ბრძანებს:

„ჩანს იუდაც კი თანამგრძობთა  
თავისთა შპოვებს,

შყავს მასაც მრევლი, ვით ამ სოფლად  
სიბრიყვეს ყოველს“....

გენიოსს შეუძლია ამ ფორმით გამოხატოს, თორემ დღევანდელი ცხოვრების შემყურეს ეს აზრი ყველა ჩვენგანს ებადება...



\*\*\*

ქართულ ზღაპრებში ერთი პერსონაჟია, არ იცის, სად რა თქვას: ჭირში სათქმელს ლხინში ამბობს და ლხინში სათქმელს – ჭირში. ამის გამო მუდამ პრობლემები ექმნება... კონფლიქტების მომგვარებელ სახელმწიფო მინისტრს რომ ვუსმენ, სწორედ იმ ზღაპრის პერსონაჟი მახსენდება:

ი. გრიგოლიას გადაცემაში აფხაზეთში დატყვევებულ ჟურნალისტზე საუბრობდა და „იხუმრა“, ინგას გავცვლით იმ ჟურნალისტშიო...

ომია. მედვედევა სარკოზის ხელმოწერილ დოკუმენტზე ბალაფშა და კოკოითსაც მოაწერინა ხელი. ამ ჩვენმა მინისტრმა „კომენტარი გააკეთა“: მედვედევს თუ უნდა, ბალაფშა და კოკოითს მმარში მოაწერინოს ხელი და ერთმანეთზე დააქორწინოსო... და მისთანანი...

ზღაპრის გმირი ხომ არ დაგავინყდათ? ის საცოდავი თავის თავს უქმნიდა პრობლემებს, ეს – ქვეყანას...

\*\*\*

მიხეილ ჯავახიშვილს აქვს ასეთი არაკი: „ლორმა ლომი დუელში გამოიწვია. შინ რომ დაბრუნდა, შეეშინდა და თავის ძმებს დარიგება სთხოვა. ურჩიეს: მყრალ ორმომი გაგორდი და ისე გადიო. მეორე დილით ყველა მხეცები მოგროვდნენ. ლომი შოვიდა, ლორს დაჰსუნა, გაბრუნდა და წავიდა. ლორი დიდხანს იკვებოდა, ლომი შევაშინეო.“

პოლიტიკაში ცილისნამება, აგენტობის დაბრალება, შეიარაღებული ამბოხების მონყობის ბრალდება მყრალ ვუბემი ამოგორებასა ჰგავს... თუ საქმეს სჭირდება, ლომს მყრალმა სუნმა უკან არ უნდა დაახეინოს...

\*\*\*

შეგობარმა მახარა: გაიგე? ლომია განათლების მინისტრი აღარააო...

გამეცინა და ხალხური ლექსი გაეახსენე:

თხას უთხრეს, მგელი მომკვდარა,

თხამ გაიხარა, გაიქცა,

თხოო, რა გაგხარებია,

განა სამგლეთი დაიქცა?

სამგლეთი რომ დაიქცევა, ის მოშილოცე-მეთქი...

\*\*\*

მიხეილ ჯავახიშვილს აქვს ასეთი ჩანაწერი: „ადამიანი ტირის და იცინის. პირუტყვიც ტირის, მაგრამ არ იცინისო“...

ჰოდა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ზოგიერთი ჩვენი ხელისუფალი (დ. ბაქრაშვილი, კ. გაბაშვილი, თ. იაკობაშვილი...) იმისთვის იცინის, დაამტკიცოს, ადამიანი ვარო... თუ ასე არ არის, პროტის თქმისა არ იყოს, „რა გაციინებს შე...“

\*\*\*

ეკრანზე ე. შევარდნაძის სახე რომ გაიელვებს, მიხეილ ჯავახიშვილის ერთი ჩანანური მახსენდება: „ერთი მუშა ამბობს: „გეფიცები დედ-მამას, ცოლ-შვილს, პატიოსნებას: ვინმე რომ გამიყვანდეს დიდ მოედანზე, გამხდიდეს და ას ჯოხს დამკრავდეს – ნიკოლოზ მეფეს რად ებრძოდიო, დავუყვირებ: დამკა! დამკა! კიდევ დამკარ! ახია ჩემზე, ახი!“







\*\*\*

საახალწლოდ პრეზიდენტმა მწერლებს, ხელოვანებს, მოკლედ, „მოლაპარაკე ოპოზიციონერებს“ ინდაურები აჩუქა; მერე მიიწვია და ილაპარაკეთ, რაც გინდათო... ის ლაპარაკი იქ დარჩა და...

ერთი ამბავი გამახსენდა:

დიდი ხნის წინათ ერთი ჩვენი კოლეგა მოსკოვში იყო და ჩამოსულმა საჩუქრები დაგვირიგა, ვის – რა, ვის – რა... ერთ ქალბატონს ლამაზი „ჩუსტები“ ერგო. ეს ქალბატონი მართალ და პირშიმთქმელ ქალად იყო ცნობილი... გამჩუქებელი ხშირად ისე იქცეოდა, აღიზიანებდა „ჩუსტებიანს“, მაგრამ არას ეუბნებოდა... ერთხელაც დაინივლა: „რა ვენა, მინდა ვუთხრა, მაგრამ „ჩუსტები“ მაქვს პირში გაჩრილიო“...

ჰოდა, ასე გაუჩარეს პირშიმთქმელებს პირში „ჩუსტები“...

\*\*\*



საქართველოს  
ენის ცენტრი

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ავტოსპორტში წარმატებული იყო გოგი დემეტრაძე. დოსააფმა ჯილდოდ ეიგული (03) მისცა. ასეთი რამ გვიამბო ერთხელ:

სოხუმიდან მოდიოდნენ თურმე. ახალი მანქანა, კარგი ტრასა და ავტომრბოლელი მძღოლი... სიჩქარე ასს რომ აცდა, გვერდით მჯდომმა ახლობელმა ყვირილი დაიწყო, ნელა წადიო. გ. დემეტრაძეს ნელა რა გაატარებდა და მოუმატა სიჩქარეს. სპიდომეტრი 160-ს რომ აცდა, მგზავრს გადაეხედო: კაცის ფერი აღარ ედო. უცებ დავაგდე სიჩქარე 120 კილომეტრამდეო. კაცი ფერზე მოვიდა, ასე იარეო... 100-ზე ყვირილი დაიწყო და იხვეწებოდა, 120-ით იარეო...

ლომაიაზე ფიქრმა გამახსენა. ვებრძოდით, ვყვიროდით, ეს კაცი განათლებას დალუპავსო და... მომდევნო მინისტრების შემყურეს მგონი ლომაია სანატრელი გაგვიხდეს... ისე, პირველ კაცზე ფიქრმაც შეიძლება გაგახსენოს კაცს ეს ამბავი...

\*\*\*

„ვინ არ იცის, რომ ჩვენი ბედის წერა მხოლოდ სწავლა-განათლებლაზედ არის დამოკიდებული?“ – იკითხა აკაკი წერეთელმა. ეს შეკითხვა რიტორიკული XIX საუკუნეში იყო, თორემ დღეს მას მარტივი პასუხი აქვს:

– ჩვენმა ხელისუფლებამ...

\*\*\*  
ექვთიმე თაყაიშვილს უთქვამს პლატონ  
იოსელიანზე – „თუ ცდებოდა, პატიოსნად  
ცდებოდაო...“

ჩვენი უბედურება ისიცაა, შეცდომებით  
სავსე ცხოვრებაში პატიოსანი შეცდომა  
რომ მოგენატრება კაცს... შეცდომებიც  
არაკაცურია...

\*\*\*

გაბრიელ ეპისკოპოსის დევიზი იყო: „ყველაფერი მრევლისათვის, არაფერი საკუთარი თავისათვის!..“

ტარიელ გოლუამ საკუთარ შვილს „ერთობის“ შემოტანის გზა დაინუნა და დატუქსა: „საზოგადო საქმე უანგაროდ და ნმინდად უნდა კეთდებოდეს... კერძო ინტერესი შიგ არ უნდა გარიო... საჭიროა, პირადი ბედნიერება საზოგადო თანაგძნობაზე იყოს დამყარებული, თორემ ბედნიერება – ბედნიერება არ იქნება“...

ეს და მსგავსი უამრავი შეგონება შეიძლება გავიხსენოთ, მაგრამ რად გინდა... ვინც უნდა ისმენდეს, ის ნიგნს არ კითხულობს... არც სხვის აზრს ისმენს...



\*\*\*

„25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითი-დღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევრის ნვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევიძრე, ჩამესობა და ისე გამათავეებს, რომ გმინვის ამოღებასაც ვერ მოვასწრებ,“ – ეს მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერია.

თუ ჩვენი ცხოვრება ასე გაგრძელდა, 25 თებერვლის ჩანაცვლება მოგვიწევს სხვა თარიღით...



\*\*\*

მიხეილ ჯავახიშვილს ესეც ჩაუნერია:  
„ღმერთი რომ ხალხის დასჯას განიზრა-  
ხავს, მმართველად მნიგნობარს მოუფ-  
ლენსო...“ სამწუხაროდ, ჩვენმა ცხოვრებამ  
სხვა ჭეშმარიტება დაგვანახა: ყველაზე დი-  
დი სასჯელი ხალხისთვის უნიგნური ხე-  
ლისუფალია...

\*\*\*

ეს გზა ტაძართან მიმიყვანს? — იკითხა მგზავრმა ერთ კინოფილმში. არაო, — უთხრეს, — ეს ვარლამ არაუიძის ქუჩაა და ის ტაძრისკენ არ მიდისო... რა საჭიროა გზა, თუ ტაძართან არ მიგიყვანსო, — გაიკვირვა მგზავრმა...

ჩვენ რომ ყოველდღე შეგვახსენებენ და გვაყვედრიან, გზას გიკეთებთო, ის გზა საით მიდის? ყოველ შემთხვევაში, ტაძრისკენ — ნამდვილად არა: ტაძარს არ ნყალობს გზის მშენებელი.

\*\*\*

დიდი ხნის წინათ თამაზ წიენივადემ გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი საესტრადო სიმღერების ტექსტების შესახებ. წიენივადისებური წერილი იყო. მეორე თუ მესამე დღეს ასეთ ფაქტს შევესწარი: მწერალთა კავშირში ნიკა აგიაშვილი შეხვდა თამაზ წიენივადეს; შეაქო: თამაზ, ძალიან კარგი წერილი დაბეჭდე, მაგრამ რად გინდა, ხვალ გამოვლენ და ისევ ისე იმღერებენო...

ჰოდა, ამხილე, რამდენიც გინდა, აკრიტიკე ჩვენი ხელისუფლება; „ხვალ გამოვლენ და ისევ ისე იმღერებენ“...

\*\*\*

იაკობ მანსვეტაძეილი იგონებს: ვაჟა-ფშაველას თონეთში მუშაობისას ჩხუბი მოსვლია რუსის ოფიცერთან (აუცი თქვა ქართველებზეო). ამას გართულება მოჰყოლია. ვაჟას უთქვამს: „თუ საზოგადოებას რაიმე უსიამოვნება მოეღოს ჩემის გულსთვის, მე თითონ დავანებებ თავს აქაურ მასწავლებლობასო“...

დიმიტრი თავდადებული გახსოვთ?

„კახეთის მხსნელი გმირები – ბიძინა, შალვა, ელიზბარ“ – გახსოვთ?..

მსგავსი რამდენი მაგალითი უნდა შევახსენოთ ჩვენს ხელისუფალს, რომ ეშველოს ქვეყანას?

\*\*\*

თემურ ჩხეიძე ყვებოდა, უშანგი ჩხეიძის იუბილზე როგორ წაიყვანა შეუძლოდ მყოფი ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე. ძალიან გვაფიქრებდა ქალბატონი ვერიკოს ჯანმრთელობა, მაგრამ უმისოდ უშანგის იუბილეს ჩატარება არ გვინდოდაო. სცენაზე რომ გავიდა, საოცარი სიმზნე და ენერჯია შეიძინაო... საღამოს დასრულების შემდეგ დანანებით უთქვამს, ბედნიერი ვიქნებოდი, სცენაზე რომ მოვმკვდარიყავიო...

2008 წლის აგვისტოს მოვლენების ჟამს მთელმა მსოფლიომ ნახა, დამფრთხალი მთავარსარდალი როგორ ეძებდა მშველელს, როგორ გარბოდა ბრძოლის ველიდან... არადა, მთავარსარდალს ბრძოლის ველზე სიკვდილის არ უნდა ეშინოდეს; პირიქით, სიკვდილს უნდა ამარცხებდეს მთავარსარდალი...

\*\*\*

გუშინ ტელევიზიით (9. 03. 2009) მოვისმინე კრიტიკა პრეზიდენტისა: იაპონურ რესტორანს ესტუმრა და თევზით („სუში“) კარგად მოილხინაო; ეს ყოველივე საქვეყნოდ გააკეთაო, ამ მძიმე მარხვაში ასეთი მაგალითი არ უნდა მისცესო ერს...

მე სხვა რაშე მაფიქრებს... სმა-ჭამის დიდად მოტრფიალე ლუარსაბ თათქარიძემ უზომოდ მოილხინა ნათლიმამისაგან მოძღვნილი კალმახით და... საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის ეს ლხინი...

\*\*\*

ფიზიოლოგიის მამამთავარი პავლოვი  
ეკლესიაში იყო და ლოცულობდაო; ახალ-  
გაზრდა მილიციელს დაუნახავს, შებრალებ-  
ბია მოხუცი მეცნიერი: ქვეყანაზე ჯერ კი-  
დევე როგორი სიბნელეაო!...

როცა ლომიას საგანმანათლებლო რე-  
ფორმა დაფინანსეთ, პრესიდან დაგემოდ-  
ღერა კირკიტაძემ – კარგი რეფორმაა,  
რა გინდათო...

საუნივერსიტეტო რეფორმა სწორად  
მიდის; ილიას, აკაკის და ვაჟას კაბინე-  
ტები რა საჭიროაო... – თეა თუთბერიძემ  
მოგვიწოდა...

მეგობარმა შემომთავაზა, პარლამენ-  
ტარ ელდარ კვერნაძეს ვიცნობ, მხარს  
დაგვიჭერსო. უმაღლესი სასწავლებლის  
დაფინანსების პრობლემებზე დაფინანსე სა-  
უბარი. გამაწყვეტინა; მომისმინე, „შე სა-  
ხელმწიფოებრივად ვაზროვნებო...“

ჰოდა, ჰქონდა თავისი აზრი იმ საბრა-  
ლო მილიციელსაც...

\*\*\*

გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ („მიშა მაგარიას“ ავტორმა) ბრიფინგი გამართა (16.03.09) და თქვა: „თუ კაცი არ მიდის ნერგთან, ნერგი უნდა მივიდეს კაცთანო“ (პირველმა არხმა მხოლოდ ეს ფრაზა გაუშვა. 14.00.).

იმერეთში იტყვიან, განათლება უბედურება რამეაო; ყველგან იჩენს თავს; არ მოასვენებს კაცს და იქ ამოხეთქავს, სადაც არ ელოდებიო...



\*\*\*

ანა კალანდაძეს აქვს ასეთი ჩანაწერი:  
 „ვენახის გაჩეხამ სიკვდილი იცის... გურია-  
 ში ერთმა ქალბატონმა საუბარში აღნიშნა,  
 არ ვარგა ვენახის ამოძირკვა, – სიკვდილი  
 იცისო“.

სამწუხაროდ, იმ ქალბატონს არ დაუ-  
 ზუსტებია, ვისი სიკვდილი იცის: ვინც იძუ-  
 ლებული გახდა, უილაჯობის გამო ამოე-  
 ძირკვა ვენახი (ანუ ხელისუფლების მიერ  
 დასაღუპად განწირული კაცი), თუ ვინც  
 აიძულებს, აქეზებს მევენახეს, გაიმეტოს  
 შვილივით ნაზარდი ვაზი... ისე მე კი ვიცი,  
 ვის შესახებაა საუბარი; კარგია, თვითონაც  
 იცოდეს, იმ სასიკვდილემ...

\*\*\*

„- ბიბოს გაუმარჯოს, ბიბოს! - ესალმებიან მეზობლები

- გაგიმარჯოთ!

- როგორა ხარ, კაცო, ბიბო!

- გული დარდიანი მაქვს.

- რათა, კაცო, რათა!

- მამაჩემი ყიზლარშია და...

- მოვა, კაცო, მაგაზე რა გადარდებს.

- რა ვიცი, გზაა, ათასი მთვრალი და-  
ეხეტება, ზვავია, ათასი ოხრობაა...“ (რ.  
ინანიშვილი).

ბიბო პატარა ბიჭია, ოთხი წლისაა; კაცივით ლაპარაკობს, კაცივით იქცევა, მოკლედ, კაცებს ბაძავს... ბიბო მახსენდებოდა, მინისტრ ღვალაძეს რომ ვუსმენდი... ისე, გული რომ არ დანყდეთ, სხვაც მრავალი ბიბოა მთავრობაში (ხეთაგური, კვეზერელი, ბაქრაძე...)...

\*\*\*

ცნობილი მამფორიზმია: მეხუთე ცოლის მომყვანს ჰკითხეს, ვითომ უკეთესია მეხუთე ცოლიო?

– არ დაიჯეროო, – უთქვამს, – ცოლი ცოლია, სახელი აქვთ სხვადასხვაო...

ნარამარა რომ იცვლება მინისტრები, იმან გამახსენა: მინისტრი მინისტრია, სახელი აქვთ სხვადასხვა...

ისე, ამ ფორმულაში სხვა მონაცემებიც შეიძლება ჩაისვას: ტელევიზია ტელევიზიაა... რადიო რადიოა...

\*\*\*

„ბარიერის“ დებატებში უმრავლესობის ნევრებს ვუსმენდი (17.03.09)... თეთრი ვარდისფერიაო; შავიც ვარდისფერიაო; ლურჯიც ვარდისფერიაო... მოკლედ, ჩვენ ვამბობთ და შენ უნდა დაიჯეროო...

ბავშვობაში ჩემი ქუთაისელი ებრაელი მეზობელი მეტყოდა ხოლმე, უფროსმარომ გითხრას, რიონი აღმა მიდის, უპასუხე, მხუილ-მხუილითაო, მაგრამ... მე მეორე მეზობლის ნათქვამი უფრო მომწონს: ურცხვისაა ეს ქვეყანაო...

...

ანა კალანდაძე: „ვאי დამნაშაუის გამამართლებელს... და ალაღმართლის გამამტყუნებელსო, – უთქვამთ ძველებს, რომელთაც ესმოდათ მართალი სიტყუის ფასი. მნამს „ათინათი“ არ ულაღატებს მართალ სიტყუას“...

სამნუხაროდ, არ გამართლდა ქალბატონი ანას რნმენა: ულაღატა „ათინათმა“ მართალ სიტყუას... ალაღმართლის გამტყუნება და დამნაშაუის გამართლება ამ ბოლო ხანს ჩვენში რომ მოხდა, გადანონის მსოფლიო სამართლის ისტორიას...

\*\*\*

დაიძაბა სიტუაცია; ბოლომდე აივსო მოთმინების ფიალა... სასწრაფოდ ჩამოვიდა მეთიუ ბრაიზა; ჩამოვიდა მათიას იორში... ჩამობრძანდნენ მისთანანნი... გვარნმუნებენ, თქვენთან დემოკრატიააო, კარგად მიდის საქმე, ხვალ უკეთესობა იქნებაო...

გამახსენდა: იმერელი სიზმარს ჰყვებოდა და გურულმა უთხრა, მაგი არაა მასეო...

არადა იმერელი თავის სიზმარს ჰყვებოდა...

\*\*\*

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვიდუო მასალა გამოაქვეყნა: „ოპოზიციონერი“ იარაღს ყიდულობს და იარაღის გამყიდველს უყვება, ვინ უნდა მოკლას, ვინ უნდა ააფეთქოს ამ იარაღით; ისიც უსმენს... და ეს მასალა არის მთავარი სამხილი „შეთქმულთა“ წინააღმდეგ...

მეგობარს ვუთხარი: ეს იმასა ჰგავს, მე რომ საკანცელარიო მალაზიაში შევიდე, ქალაქი ვიყიდო და გამყიდველს ვუთხრა, ამაზე გამოკვლევა უნდა დაწერო ქართული ზმნის უღვლილების სისტემის შესახებ-მეთქი; ფონეტიკა-ფონოლოგიის პრობლემებიც მინდა გამოვიკვლიო-მეთქი... ხომ მკითხავს გამყიდველი, კარგად ხარო?..



შარდის ფარი  
ქარაფოუსები



\*\*\*

ერთი ამბავი ატყდა: 70 ოჯახს შერიის ნაჩუქარი ბინები ჩამოართვეს. გაჩუქება ქალაქის ყოფილ პრეზიდენტს – შერაძეს – დაბრალდა. სასამართლო გამართულა (საზოგადოებამ გვიან გაიგო). შერაძემ სახელმწიფო ექვსი მილიონით აზარალაო; სასამართლოზე დანაშაული აღიარაო და... მიუსაჯეს; დამნაშავემ (შერაძემ) „არ დაამყაროს ურთიერთობა ანტისაზოგადოებრივად განწყობილ ადამიანებთან“...

პროფსორები რექტორთან სასაუბროდ შევედით (3. VII. 2006)... იყო ემოციებიც... პოლიცია გამოიძახეს და გამოგვყარეს უნივერსიტეტიდან; შერე გაგვასამართლეს როგორც ხულიგნები და 100-100 ლარიანი ჯარიმით დაგვსაჯეს... ესეც შენი ვარდისფერი სამართალი!

პ.ს. გ. შერაძეს მილიონები დაუთვალეს (ჯორჯიან ტაიმსი; 15. II. 2007.)... ამიტომაც იყო ასეთი განაჩენი...

\*\*\*

მ. ჯავახიშვილს 1930 წელს უხეირო ქართულის მაგალითად ჩაუნერია „ორსული ძროხა“...

დღეს დასავლური განათლების სოფლის მეურნეობის მინისტრი პ. ცისკარიშვილი რუსთაფი-2-ის ეთერში ასე საუბრობს: „ჰოლანდიიდან შემოვიყვანთ ქალ ძროხებს; მაღალია მათი წველადობა; ისინი ყოველ წელს შობენ ხბოს, თანაც 90 % ქალი ხბოა“ (5. II. 2006. ბიზნეს-კურიერი)...

გამგებელი დილარ ხაბულიანი: ეს უნდა იცოდეს მოსახლეობის მთელმა ნაწილმა (23. II. 2006. კურიერი)...

ჰოდა: ეს მინისტრი მერე დაანინაურეს და საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობის ლიდერი გახდა... ის გამგებელიც დაანინაურეს და საკანმდებლო ორგანოში წამოასკუპეს... ასეთ მაგალითებს თვლა არა აქვს... ინგლისში პრემიერმინისტრ ტონი ბლერს იმპიჩმენტი კინალამ მოუწყვეს, რომელიღაც სიტყვას სწორად ვერ ნერო...

\*\*\*

გასულ წელს (2005) გ. უგულავა ჩინოვნიკებს გაუჯავრდა, როგორ შეიძლება მენაგვეს 200 ლარზე ნაკლები ხელფასი ჰქონდესო...

პრზიდენტი აეროპორტში მივიდა (22. II. 2006) და რომ გაიგო, 80 ლარი ჰქონდა ხელფასი თანამშრომელს, აღშფოთდა: სასწრაფოდ გაუზარდეთ ხელფასები და 400 ლარზე ნაკლები არავის ჰქონდეთო...

იმავე დღეს თქვა ტერმინალ „ოპიზაში“: გაყარეთ ყველა, მიიღეთ ახლები და დაუნიშნეთ მინიმუმ 1000 ლარიო...

ეს ყოველივე კარგია, მაგრამ...

ენათმეცნიერების ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკის უმაღლესი ხელფასი არის 170 ლარი...

\*\*\*

ტელერეპორტაჟიდან ვიცი:

პროფესიონალი მომღერლის, ან განსვენებული ვ. მ-ის სიძე მისულა „ერისიონში“ და ჰონორარი მოუთხოვია: თქვენ რომ სიმღერებს მღერით, ისინი ვ. მ-ის სიმღერებიან... საუბარია „მრავალეამიერზე“, „ჩაკრულოზე“ და ა.შ.

თურმე ნუ იტყვიტ და, ჰონორარის მაძიებელს მიუკითხავს საქსტანდარტისათვის და იქიდან აუღია სერტიფიკატი (!), რომ სიმღერები, რომელთაც ასრულებდა ვ. მ-ი, მისია... სერტიფიკატში ამ ხალხური სიმღერების ჩამონათვალიც ყოფილა...

ეს იცის იმან, პროფესიონალები რომ გაყარეს და „გოგო-ბიჭები“ ნყვეტენ ასეთ საქმეებს...

\*\*\*

დღეს (24. 02. 2006) ითქვა ტელევიზიით: აფხაზებმა ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები გამოსცეს. მათი „ისტორიით“ საქართველოს სახელმწიფო XIII საუკუნეში შეიქმნა. მანამაღუ დანანეერებული იყო. აფხაზეთის სახელმწიფო უფრო ძველია; ქუთაისი იყო მისი დედაქალაქი... მერე გვიან ქართველებმა დაიბყრეს... გეოგრაფიაც ასეთივე „აფხაზურია“... ყველა სხვა სახელმძღვანელო აკრძალეს...

აფხაზები იგონებენ ისტორიას და აიძულებენ, ეს გამოგონილ ისტორია ასწავლონ მათ სკოლებში...

ჩვენ ნამდვილ ისტორიას ვივინყებთ და ვაიძულებთ, არ ისწავლონ... სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის ვითარებას ვინც იცნობს, დამეთანხმება...

\*\*\*

აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონში, ფერის მთაზე ეკლესია შენდებოდა. უნდა დაინგრესო – ხელისუფლებამ. მოტივი: ეს ადგილი ადრე სამხედროებს ეჭირათ, სტრატეგიული დანიშნულების ადგილია, მთელი აჭარა მოჩანსო და არ შეიძლება ეკლესია (მონასტერი) იყოსო აქ... და დაანგრის...

მერე ესეც თქვეს ოფიციალურად, აქ ფუნქციონირის გაკეთება ივარაუდება, ატრაქციონები, გასართობები...

ე. ი. „სტრატეგიული დანიშნულების“ მთაზე არ შეიძლება მონასტერი აიგოსო, ატრაქციონები – კი...

\*\*\*

ერთი „ცნობადი სახე“ სკოლის დირექტორად დანიშნეს. კარგა ხანს „დირექტორა“... მერე კონკურსი გამოცხადდა და ტესტირება ვერ გაიარა ნარმატებით; ლოტოტრონმა გადაწყვიტოს მისი დირექტორობის საკითხიო და პრესტიჟული სკოლის დირექტორი პერიფერიის სკოლაში მოხვდა.. ჩვენი კაციაო და მაინც პრესტიჟულ სკოლაში დატოვეს... მაგრამ სამეურვეო საბჭომ გაამაფა – არ ვარგა ეს კაცი დირექტორადო და... დაანინაურეს – ქალაქის თავად დანიშნეს...

თურმე, ნუ იტყვით და, ქალაქის თავობა უფრო იოლი საქმე ყოფილა, ვიდრე სკოლის დირექტორობა...

\*\*\*

დიდად აქტიური ერთი „ცნობადი სახე“ უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორად დანიშნეს... ეს გამომცემლობა წელიწადში 200-ზე მეტ სახელმძღვანელოსათუ მონოგრაფიას გამოსცემდა... „ცნობადი სახის“ დირექტორობის დროს თითქმის ნიგნი არ გამოუშვია ამ გამომცემლობას... დირექტორი პროფესორზე ბევრად მეტ ხელფასს იღებდა და... დაანიშნაურეს: საკანონმდებლო ორგანოში კომიტეტის თავმჯდომარეა (ეს კომიტეტი მისთვის შექმნეს...).

ასე ფასობს ჩვენში აქტიური უსაქმურობა...





\*\*\*

დღეს (25. XII. 2008) სამების ტაძარში მიხეილ სააკაშვილმა სიამაყით გაიხსენა 1978 წლის 14 აპრილი, როცა „ქართველ ხალხს მოუნდომეს სახელმწიფო ენის წართმევა და არ გამოუვიდათ“...

გამახსენდა: „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ —

გაუქმდა პრეზიდენტთან არსებული ქართული ენის სახელმწიფო კომისია;

გაუქმდა ენის სახელმწიფო პალატა;

გაუქმდა პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი;

გაუქმდა ყველა რადიო და ტელეგადაცემა, რომელიც ქართულ ენას ეძღვნებოდა...

შემცირდა ქართული ენის საათები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში...

ქართული აღარაა სავალდებულო საგანი უმაღლეს სასწავლებლებში...

და სხვა... და სხვა...

ჰოდა, „არ გამოუვიდათ“ მაშინ, მაგრამ... გამოუვიდათ ახლა...

\*\*\*

ახლა ხან | არხზე დაინყო გადაცემა „ცხოვრება მშვენიერი“... საინფორმაციო საშუალებებით აჩვენებენ გაუბედურებულ სამაჩაბლოს, გაუბედურებულ სამურზაყანოს... დარბეულ ოჯახებს, ატირებულ დეენილებს, დამშეულ ქვეყანას...

ვისთვისაა ქვეყანა მშვენიერი?

აი, ვისთვის: ნინასააბალწლოდ ითქვა, რომ ყველა პრესტიჟულ რესტორანში სააბალწლოდ ადგილები უკვე დაჯავშნულიაო... ფასი 150-დან 200 დოლარამდეაო კაცზე...

ჰოდა, ყოფილა ცხოვრება მშვენიერი...

\*\*\*

მითქვამს ადრეც - 2006 წლის ზაფხულში ცხრა პროფესორი გაგვასამართლეს, როგორც წვრილმანი ხულიგნები, ლომაია-ხუბუას რეფორმას რატომ უპირისპირდებითო...

სასამართლო პროცესზევე „აღშფოთდა“ ბრალდებული პროფესორი ვახტანგ ტუსკია: მთელი ცხოვრება ვეცადე კაცურად მევლო და წვრილმანი ხულიგნობით როგორ დავასრულო მოღვაწეობა უნივერსიტეტშიო; ეს „წვრილმანი“ მაინც მოგვაშორეთ და რაიმე „სერიოზული ბრალი“ დაგვდეთო...

ახლა მივხვდი, „წვრილმანები“ რატომ ვიყავით: ხუბუასთან რომ დავა-კამათს იკადრებ კაცი, „წვრილმანი“ ხარ, აბა რა ხარ?!

ნ<sup>0</sup>/681



და ამ პიორგი გოგოლაშვილი  
...  
...  
...  
...  
...

\*\*\*

იოსებ ჭუმბურიძე გაზეთ „თბილისში“  
აქვეყნებდა „სახიფათო ჩანანერებს“ (ნიგ-  
ნადაც გამოსცა). დალაგებულ ქვეყანაში ეს  
ჩანანერები სახიფათო უნდა ყოფილიყო  
ადრესატისათვის... ჩვენთან? ჩვენთან ყვე-  
ლაფერი პირიქითაა: „სახიფათო ჩანანერე-  
ბი“ ავტორისათვის აღმოჩნდა სახიფათო:  
ადრესატებმა იზრუნეს და... ფიზიკურად  
გაუსწორდნენ ავტორს... დამნაშავეები, რა  
თქმა უნდა, „ვერ იპოვეს“...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



K 63.855/2



K 63.855  
2

ერებათა დოქტორი (1992), პროფესორი (1994). 1966 წელს გახდა სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა... 2002 წლიდან - თსუ ძველი ქართული ენის კათედრის გამგე; 2005

წლიდან - თსუ ქართული ენის ინსტიტუტის დირექტორი; 2006 წელს საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე „რეფორმისაღმის“ პროცესტის ნიშნად დატოვა უნივერსიტეტი...

თელის: ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი ხუბუას დანესებულეებად გადაკეთდა; ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტსა და ხუბუას დანესებულეებას შორის კი ისეთივე განსხვავებაა, როგორც დიდ ივანე ჯავახიშვილსა და გ. ხუბუას შორის...

სჯერა: ქართული უნივერსიტეტი აღდგება მკედრეთით... გადარჩება საქართველო... ამ იმედით იბეჭდებოდა „საოცი-აციები“ და „პარადოქსები“ საქართველოს რესპუბლიკაში“ (2008-2009 წ.)... ამ იმედითვე გამოსტეშს ამ წიგნაკს...